ბატონო ლავრენტი, ბატონო რევაზ საღამო მშვიდობის,

პირველ რიგში მადლობას გიხდით ჩვენი განმეორებითი შეხვედრისათვის. იმ ძირითადი საკითხების შესაბამისად, რაზედაც ვისაუბრეთ შეხვედრაზე, განვაახლეთ და თანდართულს გიგზავნით ჩვენი დაზღვევის პირობებს: როგორც ფასებს, ასევე იურიდიულ ნაწილს და დაფარვებს, რომელიც როგორც შეხვედრაზეც აღინიშნა თვისობრივად და შინაარსობრივად განსხვავდება ბაზარზე არსებული ყველა სხვა შემოთავაზებისაგან, იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტულად არის მორგებული აუდიტორების და ბუღალტრების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას და არ წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დაფარვას; რამდენიმე ძირითად საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, რაზედაც ავსახეთ კიდევაც ცვლილებები ჩვენს განახლებულ წინადადებაში:

- ორ ნაწილად გავყავით დაზღვევის სახეობა, ამჯერად ცალკ-ცალკე გამოვყავით აუდიტორების პროფესიული პასუხისმგებლობის და ბუღალტრების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა; ესეთ შემთხვევაში კომპანიებს საშუალება ექნებათ შესაბამისი კომბინაციის დაფარვა შეიძინონ და პრემიის დაანგარიშებაც მოხდება მოცემული ცხრილების მიხედვით, თუ მაგალითისათვის, კომპანია ეწევა როგორც ბუღალტრულ ასევე აუდიტორულ საქმიანობას, მაშინ შესაბამისი პროპორციით დაითვლის პრემიას ორივე ცხრილის მიხედვით (აუდიტორული ნაწილის შემოსავლიდან პირველი ცხრილის მიხედვით, ბუღალტრულ ნაწილს შესაბამისად მეორე ცხრილის მიხედვით);
- ფაილში დამატებით გავწერეთ ჯგუფურად დაზღვევის შემთხვევაში ფასდაკლების პირობები;
- პრემიის განვადებით გადახდა შესაძლებელია კლიენტის სურვილისამებრ: ერთჯერადად, ორჯერადად, ოთხჯერადად ან ექვსჯერადად, რაც მთავარია განვადება არ გულისხმობს არანაირი დამატებით პრემიას;
- რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, ტარიფები კიდევ უფრო შევამცირეთ, თანაც მინდა ხაზი გავუსვა, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი სხვაობით;
- რეტროაქტიური დაფარვის პერიოდი, გაწერილია კანონის მოთხოვნასთან შესაბამისობაში;

აქვე დავაზუსტებ, რომ ამა თუ იმ პირობის ცვლილება (როგორიცაა რეტროაქტიური პერიოდი, ფრანშიზა, ქველიმიტები და ა.შ.) შესაძლებელი იქნება დამატებითი ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე;
გთხოვთ გადახედოთ ჩვენს შემოთავაზებას, ნამდვილად კონკურენტუნარიანი წინადადებაა, შეგიძლიათ გაეცნოთ ორივე მოწოდებულ ფაილს დაფარვის შესახებ სრული ინფორმაციისათვის.
გარდა ამისა ინფორმაციის სახით გვსურს მოგაწოდოთ ლინკი, სადაც შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია:
ვფიქრობთ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტია, იმ კომპანიის ფინანსური სიძლიერე და სტაბილურობა, რომელსაც მომავალი თანამშრომლობისათვის გაუწევთ რეკომენდაციას თქვენს წევრებთან:

http://aldagi.ge/uploads/other/0/794.pdf

ასევე, აქვე გიგზავნით მეორე ლინკს, სადაც სხვა სადაზღვევო კომპანიებზე შეგიძლიათ იხილოთ იგივე ინფორმაცია:

http://insurance.gov.ge/Statistics.aspx

ველოდებით თქვენს გამოხმაურებას, ნებისმიერ კითხვასთან დაკავშირებით გთხოვთ მოგვმართოთ;

მადლობა,
პატივისცემით,

Sincerely,